ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარისზისათვის ბრძოლა, საზღვისათვის ბრძოლაა

საბჭ პროგრამაში ჩაწერილია, რომ ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. საბჭოთა ხალხს ბედნიერი ცხოვრების ეს ნათელი მომავალი ახალი შრომითი გმირობისათვის ალაფრთოვანებს. სხვანაირად არც შეიძლება, ვინაიდან ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, რომ ხალხთა ბედნიერი ცხოვრება თავისით არ მოვა, კომუნიზმი ჩვენი შოუღალავი მარჯვენითა და შემოქმედებითი შრომით უნდა ავაშენოთ.

პროგრამაში მრეწველობის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად დასახულია სახალხო მოხმარების საქონლის მკვეთრი გადიდების ამოცანები. ამასთან ერთად პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მწვავედ დააყენეს ხარისხის გაუმჯობესების საკითხი.

„დადგა დრო, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე, — უფრო მწვავედ დავაყენოთ ყველა საქონლის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების ამოცანა. ხშირად მაღაზიებში ჯერ კიდევ არ არის ფართო არჩევანი, ამავე დროს საწყობები გაჭედილია ეგრეთწოდებული „გაუსაღლეანი საქონლით“. რა საქონელია ეს? ეს არის დაბალი ხარისხის პროდუქცია, რომელსაც მყიდველი ზურგს აქცევს“.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის სამართლიანი საყვედური პროდუქციის ხარისხის გამო მთლიანად შეეხება ჩვენი რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობას.

ჯერ კიდევ სკკპ XXII ყრილობისათვის მზადების დღეებში მოსკოვის საწარმოთა კოლექტივებმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს — მოეწყო ფართო სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ხალხის მოხმარების საქონლის ასორტიმენტის გაფართოვებისათვის. ამ ინიციატივას მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებმა და დღითიდღე აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს. მთელი რიგი ფაბრიკების კოლექტივებმა შექმნეს საუკეთესო მოდელები, რომლებმაც მომხმარებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს. მასობრივადაც გამოუშვეს ლამაზი და გემოვნებით გამოყვანილი ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, ფართო მოხმარების მთელი რიგი სხვა საქონელი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საწარმოები, რომლებიც უშვებენ დაბალხარისხოვან, ულამაზო პროდუქციას, რომელიც სრულებით არა ჰკავს თავის წინამორბედ მოდელებს. სწორედ ამიტომ არის, რომ მას მომხმარებელი არ ეტანება, ხვაჭრო ორგანიზაციები უარს აცხადებენ ასეთი საქონლის მიღებაზე, საწარმოების საწყობები სავსეა ასეთი პროდუქციით, რის გამოც საწარმოებს ეკმნებათ ფინანსური სიძნელეები.

თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა გააუარესა პროდუქციის ხარისხი, ზოგჯერ უშვებს იმდენად წუნდებულ პროდუქციას, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო იძულებულია აუკრძალოს სავაჭრო ორგანიზაციებს ამ ფაბრიკის ზოგიერთი პროდუქციის მიღება. მაგალითად, ფაბრიკამ დიდი რაოდენობით გამოუშვა ასკილო ასაკის ბავშვთა ფეხსაცმელი (არტიკული 4267). ეს პროდუქცია შეამოწმა სამრეწველო საქონლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ და აღმოაჩინა სერიოზული დეფექტები. ფეხსაცმელი მოხმარებისათვის უვარგისი, გარეგნულად მეტად შეუხედავი იყო. ამიტომ სავაჭრო ორგანიზაციებს აეკრძალა ამ პროდუქციის მიღება. სექტემბერში კვლავ შეჯიბრეს აღნიშნული არტიკულის 800 წყვილი ფეხსაცმელი. 144 წყვილი კვლავ უვარგისი გამოდგა მოხმარებისათვის და დაბრუნდა წარმოებას შესაკეთებლად. ფაბრიკაში ამ არტიკულის 9.000-ზე მეტი წყვილი ფეხსაცმელი დიდხანს ეწყო საწყობში იმის გამო, რომ მოითხოვდა გადასინჯვას და დეფექტების შესწორებას.

მართალია, ფაბრიკას მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების საქმეში ზნარად ხელს უშლის ცუდი ხარისხის ნედლეული, მაგრამ ფაბრიკის მესვეურები ამ შეშთხვევაში თავს ვერ გაიმართლებენ. ასეთ ფაბრიკაში, სადაც თავმოყრილია საუკეთესო მანქანები, ისეთი პროდუქციის გამოშვება, რომელსაც დეფექტების გამო სავაჭრო ორგანიზაციები სარეალიზაციოდ არ მიიღებენ, ყოვლად დაუშვებელია.

საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის, წარმოების მაღალი კულტურისა და მუშათა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ნაკლებად ზრუნავენ აჭარის აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმოს კოლექტივები. ამ საქმეში განსაკუთრებით „გამოირჩინა“ თავი ბათუმის ლითონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა. აქ იმდენად გააუარესეს პროდუქციის ხარისხი, რომ მის მიღებაზე დაწესდა ასპროცენტიანი შემოწმება.

ცუდ მუშაობაში აღნიშნულ საწარმოს როლი ჩამორჩება ამავე სამინისტროს ბათუმის ფართო მოხმარების საქონლის ქარხნის კოლექტივი. ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ საქონელს — ფანჯრის საგოზავს, ზეთის სალებავებს, ოლიფას და სხვა ნაწარმს მომხმარებელი ნაკლებად ეტანება.

დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების საქმეში თავი „ისახელეს“ ჩვენი რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკებმა. უხარისხობას ისიც ემატება, რომ ფაბრიკები გეგმებს ვერ ასრულებენ ასორტიმენტის მიხედვით, არ იცავენ ზომებს. ჩვენი მაღაზიები სავსეა სხვადასხვა შეკერილი ტანსაცმლით, მაგრამ მომხმარებელი ეძებს ლამაზად შეკერილ თავის სარგო პალტოს, კოსტიუმს და სხვა ნაწარმს. ამ მხრივ ყველაფერი რიგზე რომ არ არის, ამაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტები.

საქართველოს მზა ტანსაცმლის ბაზამ თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკას მომდინარე წლის ცხრა თვეში პროდუქციის მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანის, ასორტიმენტისა და ზომების დარღვევისათვის 60 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა წარუდგინა. ამავე მიზეზების გამო ბაზამ 20 ათას მანეთზე მეტი ჯარიმა წარუდგინა მეექვსე სამკერვალო ფაბრიკას, ასეთივე მდგომარეობაა თითქმის ყველა სამკერვალო ფაბრიკაში.

ნაკეთობის ხარისხისადმი ისეთი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს ინტერესებს. დროა საწარმოთა ხელმძღვანელებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ ზრუნვა პროდუქციის ხარისხისათვის, უზრუნველყონ ტექნოლოგიის ზუსტი და განუხრელი დაცვა, ამაღლონ წარმოების კულტურა. საჭიროა ყოველდღიურად ავამაღლოთ ტექნიკური კონტროლის როლი წარმოებაში, ამ საქმეში ჩავაბათ გამოცდილი, კვალიფიციური კადრები.

შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების მხსვლეობაში იზრდება საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი აქტივობა. პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ შეჯიბრების მოწინავეთა რიგები განუწყვეტლივ მრავლდებოდეს, რომ დღითიდღე იზრდებოდეს ყველა მუშის ოსტატობა, ტექნიკური ცოდნა. უნდა მოეწყოს იმ ახალგაზრდების სისტემატური სწავლება, რომლებიც საწარმოებს ემატებიან, უკეთ მოეწყოს მათთვის მოწინავეთა გამოცდილების გადაცემა. ამავე დროს საჭიროა შეიქმნას ფართო საზოგადოებრივი აზრი იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, უკან ეწევა უბნის, საამქროს, მთელი წარმოების საერთო მაჩვენებელს, სახელს უტეხს საფაბრიკო მარკას.

ჩვენს საწარმოებში გვაქვს ყველა საშუალება იმისათვის, რომ აღვკვეთოთ პროდუქციის წუნით გამოწვეული ზარალი, საბჭოთა ადამიანს მივაწოდოთ ლამაზად, გემოვნებით გამოყვანილი ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და ყველა სახის ფართო მოხმარების საქონელი.

შენთვის, სამშობლოვ, შენთვის, პარტიავ!

ქუთაისი. (საკ. კორ). ი. ბ. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა, რომელიც კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის იბრძვის, ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა. მაღარომ (დირექტორი ს. პეტრიაშვილი, პარტბიუროს მდივანი ა. კვთელაძე) 29 ნოემბერს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების წლიური გეგმა და მარგანეცს უკვე 1962 წლის ანგარიშში იძლევა. მაღალნაყოფიერად შრომობენ საწარმოო უბნები, რომლებსაც ი. წერეთელი, გ. გაფრინდაშვილი და ი. ჩაჩანიძე ხელმძღვანელობენ.

ამხანაგური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა უსაზღვროდ გაახარა სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „შრომის“ მოწინავე მწველავი ბაბილინა ბიბილეიშვილი. მან უკვე გადაჭარბებით გაანაღდა რძის მიღების წლიური გეგმა. გარდა ამისა, ვალდებულების ანგარიშში მოწველილი აქვს 650 კილოგრამი რძე. მოწინავე მწველავი ქალი სიტყვას იძლევა, რომ 20 დეკემბრისათვის გადამეტებით შეასრულებს რძის მიღების ნაკისრ ვალდებულებას.

ახმეტა. (საკ. კორ.). ივლის, ორკილის, სტორისა და სხვა მდინარეთა ხეობებში ახმეტის სატყეო კომბინატის მუშაკები ასწლოვან წიფლის ხეებს სჭრიან, ახმეტაში მიაქვთ, ფიცრად აქცევენ და დანიშნულებისამებრ გზავნიან.

სატყეო კომბინატმა თერმეტ თვეში 95 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე დაამზადა და გადაზიდა. გეგმა კი 92 ათას კუბმეტრზე მეტს არ ითვალისწინებდა.

კარგად მუშაობენ ხისმჭრელები, ტრაქტორისტები, ავტომანქანის მძღოლები. მათი უმრავლესობა გეგმას სისტემატურად დიდი გადამეტებით ასრულებს. განსაკუთრებით ისახელა თავი ტრაქტორისტმა ირაკლი ხაშმელაშვილმა, რომელმაც დავალების გადამეტებით ათასობით კუბმეტრი ხე-ტყე გამოზიდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 42-ე წელი. № 282 (12196) | ხუთშაბათი, 14 დეკემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ეს დღეები ჩვენს რესპუბლიკაში

ჩაის პლანტაციებში

800 ჰექტარზე მეტი უკავია ჩაის პლანტაციებს აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში (გალის რაიონი). აქ ყველა აგროგანყოფილებაში უკვე დაიწყო ნიადაგის გაფხვიერება მწკრივთაშორის და სასუქების შეტანა. ყველა სამუშაოს აჩიგვარელები დიდი სიბეჯითით და მაღალხარისხოვნად ასრულებენ. მათი მისწრაფებაა წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სამეურნეო წელი.

სურათზე: ნიადაგის გაფხვიერება მწკრივთაშორის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში თვითმავალი მასის დვსწ-16 საშუალებით.

ფოტო ი. ჭობონელიძისა. (საქდესის ფოტოკორონკი).



არომატული თამბაქო

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმის რაიონის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, ახალი ენთუზიაზმით შრომობენ, რათა მეტი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული მისცენ საბჭოთა მეურნეობას.

განსაკუთრებით ისახელეს თავი სოხუმის რაიონის სოფელ დრანდის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ა. მილორავა) მეთამბაქოეებმა. ლესელიძელებმა პირველად რაიონში უპატაკეს სამშობლოს თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმის შესრულება. სახელმწიფოსათვის მიყიდულია 39,1 ტონა თამბაქო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 37 ტონისა. კოლმეურნეთა გადაწყვეტილებაა გეგმის გადამეტებით კიდევ ჩააბარონ 12 ტონა თამბაქოს ნედლეული.

თამბაქოს მაღალი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ბრიგადებმა, რომლებსაც გამოცდილი მეთამბაქოეები ა. ყარამანიანი და კ. წურწუმია ხელმძღვანელობენ.

სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი თამბაქოს ნედლეულის მიყიდვაში სასახელო მაჩვენებლები აქვთ ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“, შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის და სოფელ გულრიფშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეთამბაქოეებს.

ალაზნის ნაპირზე

თელავი. (საკ. კორ.). მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე ყაზანლოყის გარდმა მეორე სამშობლო იპოვნა. აქ ეგე კარგად ხარობს, დიდ მოსავალს იძლევა და ზეთიც მაღალი ხარისხისა გამოდის. ვარდის პლანტაციები ყოველწლიურად დიდდება.

ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობას, რომელიც ლაფანყურის კოლმეურნეობისა და ეთერზეთის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა, წელს ოთხი ჰექტარი ვარდის პლანტაცია უნდა გაეშენებინა, ფაქტიურად კი ექვსი ჰექტარი გაშენდა. წლის ბოლომდე ყაზანლოყის ვარდს კიდევ ორ ჰექტარზე დათესავენ.

ივანდიდელი შუქურა

მომდინარე წლის გაზაფხულზე წულუკიძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი მიმდინარეობდა. სოფელ ივანდიდის კოლმეურნეობის მესამინდე ავთანდილ ხოშტარია მთელი ცურადღება მიაქცია ნიადაგის დამუშავებასა და განაყოერებას. ადრე შემოდგომაზე მზრალად მოხნულ ნიადაგში შეიტანა გადამწყარი ნაკელი და მდინარის შლამი. დატკეპნილი ნიადაგი ხელახლა მზუბუქად გადახნა. თესვის დაწყებამდე ნიადაგი გააფხვიერა. ნიადაგის კარგად დამუშავების შემდეგ კვადრატულ-ბუდნრივად დათესა. კარგად დამუშავებულ ნიადაგში სიმინდი საუკეთესოდ აღმოცენდა. ნათესებში ოთხჯერ ჩაატარა კულტივაცია და — ორჯერ თოხნა, მცენარეთა დამატებით გამოკვების მიზნით მეორე თოხნის წინ ნიადაგში შეიტანა აზოტოვანი სასუქი.

შრომის შემდეგ დადგა ავთანდილის გამოცდის დღე, ბარაქიანი მოსავალი დროულად აიღო. ავთანდილმა ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდა. მიმაგრებულ ნაგვიანი 116 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო. ავთანდილმა თავის კოლმეურნეობაში სიმინდის მაღალი მოსავლის მიღებით ყველას გაუსწრო. ამით თავის ოჯახს არა მარტო ხვავი და ბარაქა შეუძინა, არამედ სიხარულიც. ახლა ა. ხოშტა შვიდწლედის მეოთხე წლის უხვი მოსავლისათვის იბრძვის.

ბ. გეგეშიძე.

„დიდი ქიმია“

მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტმა მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა გადაწყვიტა. ეს არის ავტომატური მეთოდით სპილენძის სულფიდური მადნებიდან სპილენძის შაბიამნის, ელექტროლიზური სპილენძის მიღება. ამ მეტად რენტაბელური მეთოდის ლაბორატორიული დამუშავება დამთავრდა. ახლა მიმდინარეობს ნახევარქარხნული საცდელი დანადგარების დაკომპლექტება.

მძიმეწონიანი მატარებლით

ხაშური. (საკ. კორ.). საღამოთევნდებოდა ყოველთვიური ოზრუდა მძიმეწონიანი მატარებლების ტარების ოსტატთა რიცხვი. ხაშურელმა მეელმავლეებმა სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში სუთამის უღელტეხილის რთულპროფილიან გზაზე გაატარეს ორი ათასზე მეტი მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადატანეს ასეულ ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ახალგაზრდა მემანქანემ რ. საყვარელიძემ მძიმეწონიანი მატარებლით გეგმის ზეგით გადაიტანა 35 ათას ტონაზე მეტი ტვირთი. მას დიდად არც მემანქანე გ. ბობიანცი ჩამორჩება. მემანქანეებმა გ. ლომეუაშვილმა, კ. გოგოლაძემ და ვ. ქიმერიძემ თვითეულმა 23 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს.

საშიში ნაბიჯები

მოსკოვი, 13 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგემ ნ. მ. ლუნკოვმა 12 დეკემბერს მიიღო დანიის ელჩი სსრ კავშირში ქ. დ. ჰოლტენ-ეგერტი და გააცნო მას საბჭოთა მთავრობის განცხადება დანიის მთავრობისადმი. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ბალტიის ზღვაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დანიის სამხრეთ მხედების გაწო საბჭოთა მთავრობა იძულებული იქნება განახორციელოს საჰაერო ლონისძიებანი თავისი ქვეყნისა და თავის მოკავშირეთა უშიშროების უზრუნველსაყოფად.

განცხადებაში გამოთქმულია სინანული, რომ დანიის მთავრობა დემორჩილა ბონის ზემოქმედებას და აქმაყოფილებს ბონის ზემოქმედებას და აქმაყოფილებს იმ მოსთხოვნებს, რომ შეიქმნას გაერთიანებული სამხედრო სარდლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დანიის სახმეო-სახაერო ძალებისათვის ბალტიის ზღვის რაიონში.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ დანიის მთავრობა კისრულობს სერიოზულ პასუხისმგებლობას ჩრდილოეთ ევროპასა და ბალტიის ზღვის აუზში მშვიდობისა და სიმშვიდის სიფიცხელის ძირის გამოთხრისათვის. სსრ კავშირის მთავრობა რასაკვირველია, გულგრილად ვერ მოეკიდება იმას, რომ დანიის მთავრობა აქეზებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დამპყრობლურ მისწრაფებებს ამ რაიონში.

გულთბილი შეხვედრები

ქაბული, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ა. ა. გაგარინი ქაბულს ჩამოვიდა. მსოფლიოს პირველი კოსმონავტი აფღანეთში მოიწვიეს აფღანეთის მთავრობის სახელით განათლების მინისტრმა დოქტორმა ალი ამმედ პოპოლმა და აფღანეთ საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ. ი. გაგარინთან ერთად ჩამოვიდა მისი ცოლი ვ. ი. გაგარინა. ქაბულის აეროდრომზე იური გაგარინს შეხვდნენ დოქტორი პოპოლი და აფღანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ულფატი.

ულან-ბატორი, 13 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტმა გ. ს. ტიტოვმა, რომელიც მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში იმყოფება მონღოლეთის მთავრობის მიწვევით, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის დ. ბალუნდამისა და სხვა ოფიციალურ პირთა თანხლებით ამოგზაურა ტუნ-მოდში — ცენტრალური აიმაკის ცენტრში, სადაც გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი.

სალამს გ. ს. ტიტოვი ეწია ვ. ი. ლენინის სახელობის კლუბს, სადაც გაიმართა შეხვედრა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებთან.

ჩვენი ამოცანები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. კრებას ესწრებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები გ. ჩუბინაშვილი, გ. ახვლედიანი, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, შ. ნუცუბიძე, ი. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, გ. ჯიბლაძე, ა. ბარამიძე, გ. მელიქიშვილი, ა. ბოჭორიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები პ. გუგუშვილი, გ. ჩუბაია, ს. ყაუხჩიშვილი, ი. აბულაძე, აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მეცნიერი მუშაკები.

მოხსენება — სკკპ XXII ყრილობა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ამოცანები — წაიკითხა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა გ. წერეთელმა.

კრებამ მოისმინა ნ. ბერძენიშვილის მოხსენება — სკკპ XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ამოცანები, აგრეთვე პროფესორების ხ. წერეთლისა და ა. ფრანგიშვილის მოხსენებები.

მახარს ვუჭერთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლების თაოსნობას

ასეთია დაჰპირება

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხანაში განიხილეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვა და დიდად მოიწონეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლოა ეს თაოსნობა და თავის მხრივ იკისრეს:

1. მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში მიაღწიონ თვითეული გამოშვებული ქართული ელექტრომავლის თვითღირებულების შემცირებას დაახლოებით 22 ათასი მანეთით.

2. ყოველი 1 მანეთის ხვედრ სასაქონლო პროდუქციაზე მასალები, ელექტროენერგია და შრომითი დანახარჯები შეამცირონ 0,4 კაპიკით.

3. ყოველი გამოშვებული ელექტრომავლის ხვედრად ელექტროენერგიის ხარჯი შეამცირონ ათი ათასი კილოვატ-საათით.

4. უზრუნველყონ 1.200 ტონა შავი ლითონების და ამასთან გარკვეული რაოდენობით ფერადი ლითონების ეკონომია.

5. მომავალი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შეიტანონ 90.000 მანეთი.

დაზოგილი ათასეგი...

საბჭოთა ხალხს პარტიის პროგრამა, რომელშიც დასახულია კომუნიზმის მშენებლობის ნათელი და რეალური ამოცანები, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს. პარტიის საქმის ერთგული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყოველდღიურად ახალ-ახალ გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს. თავდადებულ შრომაში მოწინავე საწარმოებმა და ცალკეულმა ნოვატორებმა გამოიჩინეს ახალი ინიციატივა შვიდწლედის ზღუდეებზე საიერიშოდ, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დასაჩქარებლად.

კომუნიზმის მშენებლობის საქმის წარმატებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ულმობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ მფლანგველობას ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის გამოყენებაში, ყველა საშუალებით და ღონისძიებით მივაღწიოთ ეკონომიას და მთელი დაზოგილი თანხა მოვახმაროთ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის მომზადებას.

ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნის შესანიშნავ ინიციატივას და მზად ვართ მივბაძოთ მის მაგალითს, ჩვენი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის დაჩქარებით შექმნის საქმეში.

თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. საწარმომ თერმეტი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა რამდენიმე ათეული ათასი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი. განვლილ პერიოდში დაზოგილია: საპირე ტყავი 163 ათასი კვადრატული დეციმეტრი, საძირე ტყავი — 120 ათასი კვადრატული დეციმეტრი, სასარჩულე ტყავი — 79 ათასი კვადრატული დეციმეტრი. დაზოგილი ნედლეულით გამოშვებულია 11 ათასი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი.

პარტიის ახალი პროგრამა დიდ ამოცანებს გვისახავს. ამიტომ მიღწეულით ვერ დავკმაყოფილდებით. ჩვენ, მეფეხსაცმელეებმა, მანქანათმშენებელთა მოწოდების საპასუხოდ გულდასმით გადავსინჯეთ ფაბრიკის შესაძლებლობანი და 1962 წლისათვის ვკისრულობთ:

1. დავზოგოთ ნედლეული: ა) საპირე ტყავი — 150 ათასი კვადრატული დეციმეტრი, ბ) საძირე ტყავი — 120 ათასი კვადრატული დეციმეტრი, გ) სასარჩულე ტყავი — 90 ათასი კვადრატული დეციმეტრი;

2. 1962 წელს ხუთ დღეს ვიმუშაოთ დაზოგილი ნედლეულით და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 15 ათასი წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი;

3. 1962 წელს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 20 ათასი მანეთით;

4. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ავამაღლოთ 1,3 პროცენტით;

5. წარმოებაში დავნერგოთ 25 რაციონალური წინადადება და ამ გზით მივიღოთ წლიური პირობითი ეკონომია 40 ათასი მანეთის რაოდენობით;

6. ზეგეგმითი დაგროვებიდან რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში შევიტანოთ 50 ათასი მანეთი;

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივის სახელით: ა. რობაძიძე — ფაბრიკის დირექტორი, ვ. ღოლაძე — ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, ბ. მჭედლიშვილი — პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მ. იოსებაშვილი — საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, ს. კობახიძე — კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, ნ. აუხიანიძე — კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ს. ალავიძე — ზედამხედველი, ბ. ლამაზოვი — ხაძირის გამომჭრელი.

ვისჩავლოთ ამქვეყნის კოშუნიზმი!

უახლოეს ათწლეულში (1961-1970) საბჭოთა კავშირი, რომელიც ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ უსწრებს კაპიტალიზმის ყველაზე მძლავრ და მდიდარ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. ეკონომიკურად ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურულ-ტექნიკური დონე, უველასთვის უზრუნველყოფილი იქნება მატერიალური შეძლება; უველა კომშეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა გადაიქცევა მაღალნაყოფიერ და მაღალშემოსავლიან მეურნეობად; ძირითადად დაამაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინებზე, გაძრება მძიმე ფიზიკური შრომა; სსრ კავშირი უველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა გახდება.

ტეზისები პროგრამის პროექტისათვის

პროპაგანდისტი საუბრობს

პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის მუშაკთა წინაშე მთელ რიგ პასუხსაგებ კონკრეტულ ამოცანებს აყენებენ. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა ტექნიკური პროგრესის მაქსიმალურად დაჩქარება სამრეწველო საწარმოებში. ტექნიკური პროგრესის ძირითადი ხაზია მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია, წარმოებაში ქიმიის ფართოდ გამოყენება. სოციალისტური წარმოების მექანიზაცია ხორციელდება ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების დანერგვის, არსებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების, აგრეთვე ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფის გზით.

ტექნიკური პროგრესის და წარმოების მექანიზაციის მაღალი დონე შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველია, ხოლო შრომის ნაყოფიერება, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ტექნიკური პროგრესის განხორციელებით, მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებით მუშაფა შრომითი აქტივობის ზრდით ჩვენი კომბინატის კოლექტივმა დიდად გაზარდა პროდუქციის გამოშვება როგორც მთლიანად, ისე თითოეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობის მიხედვით, საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ჩემს ბრიგადასაც, — თქვა დასასრულ თენგიზ ჯოლბორდმა, — ჩვენ გამოვეხმაურეთ საქმოვანი წარმოების ქვეოსტატის ამოლონ ჩიქოვანის ინიციატივას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. უკანასკნელ თვეებში ჩემი ბრიგადა სისტემატიურად აუმჯობესებს მაუდისა და კამოლური ქსოვილების შეღებისა და გამოყენების ხარისხს, მიეგუნიეთ იმას, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქციის 99,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა. 0,2 პროცენტი — აი, რა დაგვრჩა ასაღები. მართალია, ეს მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ორ მეათედსაც დავძლევთ და მთლიანად 100 პროცენტ პირველ ხარისხის პროდუქციას გამოვუშვებთ. ამის საწინდარია ბრიგადის წევრთა ერთსულოვნება და შრომითი თავდადება.

სამეურნეო-გასაუბრება დამთავრდა. პროპაგანდისტი კმაყოფილია მსმენელთა მუშაობით.

იწყება მეცადინეობის მეორე ნაწილი — ახალი მასალის ახსნა. ჯაფიოდ, გასაგებად ლაპარაკობს პროპაგანდისტი პარტიისა და საბჭოთა ხალხის უმაღლეს მიზანზე, უახლოეს ოც წელიწადში კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანაზე, რასაც ითვალისწინებს პარტიის XXII ყრილობის დადგენილება. ამ ისტორიული დოკუმენტის ყოველ სიტყვას მოუდევს ყურს მსმენელი. ისინი ინტერესით, სიხარულით და სიამაყით ვადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობას. ყრილობამ შეაჯამა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა, ანალიზი გაუკეთა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გაწეულ ტიტანურ მუშაობას და დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა.

ასი წლის წინათ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი წერდნენ: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“. კომუნიზმის დიდებული იდეები დაეუფლნენ მილიონობის და მატერიალური ძალად იქცნენ. საუკუნეთა მანძილზე დაჩაგრულმა ადამიანებმა იერიში მიიტანეს ძველ სამყაროზე, დაამსხვრიეს მონობის უღელი მეფის რუსეთის, ვეებერთელა ტერიტორიაზე და ოქტომბრის რევოლუციით დასაბამი მისცეს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობის სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცა. და ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა, როცა სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა უშუალოდ დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, გული სიხარულით გვევსება იმის შეგნებით, რომ მშრომელთა ქმოციდნიერების და ბედნიერებისათვის დაღვრილ სისხლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გული სიხარულით გვევსება იმის გამო, რომ კომუნიზმი თანამედროვეობის უღიდესი ძალა გახდა.

შემდეგ მან ილაპარაკა ისტორიულ მიჯნებზე, რომლებიც განვლო საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, და დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა.

სამეცნიერო-გამომყვანი წარმოების ქვეოსტატმა თენგიზ ჯოლბორდმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის მთავარი შედეგია, განხორციელდა დიდი გმირობა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სხვა ხალხებისათვის ახლა უფრო ადვილია სოციალიზმისაკენ წინსვლა. თვითეული საბჭოთა ადამიანის ბეჯითი, თავდადებული შრომა ხელს უწყობს და აჩქარებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას. ჩვენი კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია, ყველაფერს აკეთებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი თენგიზ ტეტუნაშვილი ესაუბრება მსმენელებს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის ერთ მეცადინეობაზე

წრის მსმენელები დათქმულ დროზე შეგროვდნენ. პროპაგანდისტმა კედელზე რუკა და დიაგრამები გააკრა, შემდეგ მაგიდასთან მიბრუნდა, აღრიცხვის ჟურნალი აიღო და სია ამოკითხა. მეცადინეობაზე ოცდაერთივე მსმენელი მოსულიყო. ეს ერთსულოვნება ახარებდა პროპაგანდისტს, იგი მიიჩნდა იმ დიდი ინტერესის გამოხატულებად, რასაც მშრომელები პარტიის XXII ყრილობის მასალების შესწავლისადმი იჩენენ.

იმ დღეს მორიგი მეცადინეობა იყო დანიშნული თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ წრეში, რომელსაც პროპაგანდისტი თენგიზ ტეტუნაშვილი ხელმძღვანელობდა. ეს მეორე მეცადინეობა უძღვნებოდა თემას: — სსკპ XXII ყრილობის — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა. ეს იყო ამაღელვებელი, დიდებული საუბარი სსრ კავშირის ხალხთა წარმატაც, ნათელ მომავალზე.

უკანასკნელ წლებში პოლიტიკური განათლების სისტემაში ფართო გაქანება მიიღო კადრების ეკონომიურმა სწავლებამ. მაუდ-კამოლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან წელს შექმნილია და მუშაობს კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი 7 წრე და 2 სემინარი. ისინი თავიანთ მეცადინეობაზე სწავლობენ, საქმიანად მსჯელობენ და განიხილავენ წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკის კონკრეტულ საკითხებს. ასეთი მუშაობა დიდად ეხმარება კომუნისტებს, კომკავშირელებს, უპარტიო აქტივისტებს თეორიული ცოდნის დონის ამაღლებაში, ახალი საწარმოო რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

...და აი მორიგი მეცადინეობა დაიწყო. პროპაგანდისტმა გაიხსენა წინა მეცადინეობაზე განხილული საკითხები და მასალის გამეორება-გამოკითხვას შეუდგა. მსმენელები აქტივობენ, ხელს აწევით სიტყვას ითხოვენ, და როცა ნებას იღებენ, დინჯად ლაპარაკობენ, საკითხში გარკვეულობას, ღრმა ცოდნას აშკარავნებენ.

სიტყვის ნება პირველად სამეცნიერო-გამომყვანი წარმოების ქვეოსტატმა შალვა სურმავამ მიიღო. მან თქვა:

— საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა უდიდესი ინტერესით, სიხარულით და სიამაყით ვადევნებდით თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობას. ყრილობამ შეაჯამა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა, ანალიზი გაუკეთა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გაწეულ ტიტანურ მუშაობას და დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა.

ასი წლის წინათ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი წერდნენ: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“. კომუნიზმის დიდებული იდეები დაეუფლნენ მილიონობის და მატერიალური ძალად იქცნენ. საუკუნეთა მანძილზე დაჩაგრულმა ადამიანებმა იერიში მიიტანეს ძველ სამყაროზე, დაამსხვრიეს მონობის უღელი მეფის რუსეთის, ვეებერთელა ტერიტორიაზე და ოქტომბრის რევოლუციით დასაბამი მისცეს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობის სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცა. და ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა, როცა სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა უშუალოდ დასახულია კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, გული სიხარულით გვევსება იმის შეგნებით, რომ მშრომელთა ქმოციდნიერების და ბედნიერებისათვის დაღვრილ სისხლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გული სიხარულით გვევსება იმის გამო, რომ კომუნიზმი თანამედროვეობის უღიდესი ძალა გახდა.

შემდეგ მან ილაპარაკა ისტორიულ მიჯნებზე, რომლებიც განვლო საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, და დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა.

სამეცნიერო-გამომყვანი წარმოების ქვეოსტატმა თენგიზ ჯოლბორდმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის მთავარი შედეგია, განხორციელდა დიდი გმირობა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სხვა ხალხებისათვის ახლა უფრო ადვილია სოციალიზმისაკენ წინსვლა. თვითეული საბჭოთა ადამიანის ბეჯითი, თავდადებული შრომა ხელს უწყობს და აჩქარებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას. ჩვენი კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია, ყველაფერს აკეთებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი თენგიზ ტეტუნაშვილი ესაუბრება მსმენელებს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პროპაგანდისტი საუბრობს

პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე

პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი მრეწველობის მუშაკთა წინაშე მთელ რიგ პასუხსაგებ კონკრეტულ ამოცანებს აყენებენ. ერთ-ერთი ასეთი ამოცანაა ტექნიკური პროგრესის მაქსიმალურად დაჩქარება სამრეწველო საწარმოებში. ტექნიკური პროგრესის ძირითადი ხაზია მექანიზაცია და ავტომატიზაცია, სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაცია, წარმოებაში ქიმიის ფართოდ გამოყენება. სოციალისტური წარმოების მექანიზაცია ხორციელდება ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანების დანერგვის, არსებული მოწყობილობის მოდერნიზაციისა და გაუმჯობესების, აგრეთვე ტექნოლოგიური რეჟიმის სრულყოფის გზით.

ტექნიკური პროგრესის და წარმოების მექანიზაციის მაღალი დონე შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველია, ხოლო შრომის ნაყოფიერება, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ტექნიკური პროგრესის განხორციელებით, მოწყობილობის გამოყენების გაუმჯობესებით მუშაფა შრომითი აქტივობის ზრდით ჩვენი კომბინატის კოლექტივმა დიდად გაზარდა პროდუქციის გამოშვება როგორც მთლიანად, ისე თითოეული კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობის მიხედვით, საგრძნობლად აამაღლა შრომის ნაყოფიერება და შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება.

კომუნიზმის მშენებლობის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ჩემს ბრიგადასაც, — თქვა დასასრულ თენგიზ ჯოლბორდმა, — ჩვენ გამოვეხმაურეთ საქმოვანი წარმოების ქვეოსტატის ამოლონ ჩიქოვანის ინიციატივას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. უკანასკნელ თვეებში ჩემი ბრიგადა სისტემატიურად აუმჯობესებს მაუდისა და კამოლური ქსოვილების შეღებისა და გამოყენების ხარისხს, მივეგუნიეთ იმას, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული პროდუქციის 99,8 პროცენტი პირველი ხარისხისაა. 0,2 პროცენტი — აი, რა დაგვრჩა ასაღები. მართალია, ეს მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ორ მეათედსაც დავძლევთ და მთლიანად 100 პროცენტ პირველ ხარისხის პროდუქციას გამოვუშვებთ. ამის საწინდარია ბრიგადის წევრთა ერთსულოვნება და შრომითი თავდადება.

სამეურნეო-გასაუბრება დამთავრდა. პროპაგანდისტი კმაყოფილია მსმენელთა მუშაობით.

იწყება მეცადინეობის მეორე ნაწილი — ახალი მასალის ახსნა. ჯაფიოდ, გასაგებად ლაპარაკობს პროპაგანდისტი პარტიისა და საბჭოთა ხალხის უმაღლეს მიზანზე, უახლოეს ოც წელიწადში კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანაზე, რასაც ითვალისწინებს პარტიის XXII ყრილობის დადგენილება. ამ ისტორიული დოკუმენტის ყოველ სიტყვას მოუდევს ყურს მსმენელი. ისინი ინტერესით, სიხარულით და სიამაყით ვადევნებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მუშაობას. ყრილობამ შეაჯამა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხის მიერ განვლილი ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა, ანალიზი გაუკეთა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გაწეულ ტიტანურ მუშაობას და დასახა კომუნისტური საზოგადოების აშენების დიდებული პროგრამა.

ასი წლის წინათ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი წერდნენ: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“. კომუნიზმის დიდებული იდეები დაეუფლნენ მილიონობის და მატერიალური ძალად იქცნენ. საუკუნეთა მანძილზე დაჩაგრულმა ადამიანებმა იერიში მიიტანეს ძველ სამყაროზე, დაამსხვრიეს მონობის უღელი მეფის რუსეთის, ვეებერთელა ტერიტორიაზე და ოქტომბრის რევოლუციით დასაბამი მისცეს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. კაცობრიობის სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცა. და ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა, როცა სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, როცა უშუალოდ დასახულია კომუნისტური მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, გული სიხარულით გვევსება იმის შეგნებით, რომ მშრომელთა ქმოციდნიერების და ბედნიერებისათვის დაღვრილ სისხლს უნაყოფოდ არ ჩაუვლია. გული სიხარულით გვევსება იმის გამო, რომ კომუნიზმი თანამედროვეობის უღიდესი ძალა გახდა.

შემდეგ მან ილაპარაკა ისტორიულ მიჯნებზე, რომლებიც განვლო საერთაშორისო კომუნისტურმა მოძრაობამ, და დაასაბუთა, რომ კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების გზაა.

სამეცნიერო-გამომყვანი წარმოების ქვეოსტატმა თენგიზ ჯოლბორდმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის მთავარი შედეგია, განხორციელდა დიდი გმირობა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სხვა ხალხებისათვის ახლა უფრო ადვილია სოციალიზმისაკენ წინსვლა. თვითეული საბჭოთა ადამიანის ბეჯითი, თავდადებული შრომა ხელს უწყობს და აჩქარებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებას. ჩვენი კომბინატის მრავალათასიანი კოლექტივი მოწინავეთა რიგებშია, ყველაფერს აკეთებს პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი თენგიზ ტეტუნაშვილი ესაუბრება მსმენელებს პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მარჯვენის, გონების, ენერგიის საქმე

იმ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ დასახა, საბჭოთა ადამიანების მარჯვენის, გონების, ენერგიის საქმეა.

საგაზეთო წერილში ძნელია ფართოდ შეეხო სამხრეთ ოსეთის პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ ყველა ამოცანას, ამიტომ შევეხები მხოლოდ რამდენიმე ძირითად მათგანს, რომელთა გადაჭრა საგრძნობლად აამაღლებს ოლქის სახალხო მეურნეობის ეკონომიკას.

სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოებმა შვიდწლედის პირველი ორი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 120,3 პროცენტით გააჭარდეს, ხოლო მიმდინარე წლის ათ თვეში — 105,5 პროცენტით შეასრულეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არა გვაქვს საქმე მშენებლობაში, რომლის გეგმები წლითიწლობით ვერ სრულდება. პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯეროვნად ვერ მოაწყეს მშენებლობის პროცესი, არადამაკმაყოფილებელია მშენებელთა კადრებთან მუშაობა. უწინარეს ყოვლისა, ამაში სცოდავს პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, რომლის ტერიტორიაზე დიდი სამშენებლო ობიექტებია. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

სამხრეთ ოსეთში მეცხოველეობის განვითარების ხელსაყრელი პირობებია. ოლქის მშრომელები ცდილობენ რაც შეიძლება ეფექტურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი. მათ უკანასკნელ წლებში თითქმის სამჯერ და მეტად გაზარდეს პირუტყვის პროდუქტიულობა, საგრძნობლად გააუმჯობესეს ჯოგის ჯიშობრივი შემადგენლობა. მაგრამ როცა კომუნიზმის მშენებლობის ამოცანებზე ვლაპარაკობთ, ოლქში მეცხოველეობის პროდუქტიულობის მიღწეული დონე სრულიადაც არ არის საკმარისი, როგორც ცნობილია, პირველ ათწლეულში სსრ კავშირში ხორცის წარმოება გაიზრდება თითქმის სამჯერ, ხოლო რძისა — ერთნახევრად. ჩვენი ამოცანებიც შესაბამისად ამ წინასწარსახსნილობიდან უნდა გამომდინარეობდნენ.

არის თუ არა ამის საშუალებანი სამხრეთ ოსეთში? უთუოდ არის!

მთავარია საკვები ბაზა, რომლის განმტკიცებისათვის ჩვენ ჯერჯერობით მთელი სერიოზულობით ვერ ვმუშაობთ, თუმცა ამ დარგშიც გადაიდგა საგულისხმო ნაბიჯები. ჩვენს ხელთ არის დიდი რეზერვები — ალპური და სუბალპური საძოვრები, მაგრამ ისინი დღემდე მნიშვნელოვანწილად დაუტვირთავია. ჩვენი ვალია უახლოეს წლებში წარმატებით გადავჭრათ მათი რაციონალურად გამოყენების ამოცანა.

მეცხოველეობის განვითარებისათვის მკვეთრად უნდა გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობა. ამის შესაძლებლობა რომ არის, ეს მთელი რიგი მაგალითებით მტკიცდება. წელს სამხრეთ ოსეთის მესიმინდეებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს. კოლმეურნეობებმა წინა წლებთან შედარებით თითქმის ერთიორად და მეტად გაზარდეს სიმინდის მოსავლიანობა. თუ უველა კოლმეურნეობა, პირველადი პარტიული ორგანიზაცია, სოციალისტები შეუჭრებს გაუსწორებენ მხარს, საერთო წარმატებები ერთიორად გამრავლდება.

საჭიროა შემდგომში ბევრად გავზარდოთ სიმინდის ნათესი ფართობები, გავავრცელოთ იგი მაღალმთიან სოფლებში, ვთესოთ სიმინდი ნაკლებმოსავლიანი კულტურებისაგან განთავისუფლებულ ფართობებზე. უნდა გავადიდოთ აგრეთვე ბარდის ნათესები, რომელმაც წამყვანი ადგილი უნდა დაიკავოს პირუტყვის კვების რაციონში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის გაწეულმა შრომამ ხელი შეუწყო ამ პროდუქტების დაბზადებასა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის დაგალებათა შესრულებას. საყოფლებურნეო პარტიული ორგანიზაციები, სოფლის კომუნისტები ახლა უმეტესად მეთაურობენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს. მაგრამ აქაც არის ნაკლოვანებანი. ზოგიერთი კოლმეურნეობა ჯერ ისაუღებს სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ამოცანა, რომელიც გადაწყდება ძირითადად სიმინდის ხარჯზე. მოეწყობა პარკოსანი კულტურების ფართოდ თესვა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გავრცელდება შემოდგომისა და გაზაფხულის ხორბლის უხვმოსავლიანი ჯიშები.

სამხრეთ ოსეთში დიდი ყურადღება ეთმობა მებაღეობასა და მევენახეობას. ლიახვის ხეობის მაღალხარისხოვან ხილზე დიდი მოთხოვნილებაა. ამიტომ ხილისა და ყურძნის წარმოების არსებული დონე ვერაო დაგვაკმაყოფილებს. საჭიროა უახლოეს ხანში უზრუნველყოთ როგორც მინიმუმი 75 ცენტნერი ხორცის წარმოება ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერისა სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

თუ რამდენად რთულია ეს ამოცანა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1960 წელს 100 ჰექტარ სავარგულებზე ხორცის წარმოებამ მხოლოდ 7,8 ცენტნერი შეადგინა. ამაზე ბევრად დიდი არ არის წლევანდელი მაჩვენებლებიც.

მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის განვითარებასთან ერთად პარტიული ორგანიზაციებს სახურუნავს შეადგენს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის შემდგომი გაუმჯობესება ძირითადად მეტიზაციის გზით, რაშაც სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება მთის მკაცრ პირობებში. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ პირუტყვის ბეწვოანობის სრული ლიკვიდაცია, რადგან ბეწვოანობა აურაცხელ ზარალს აყენებს მეცხოველეობას. ამისათვის საჭიროა უველა კოლმეურნეობაში პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასთან ერთად ფართოდ დავნერგოთ პირუტყვის ხელოვნური დაფიქსვის პრაქტიკა, უფრო დიდი მასშტაბით მოვაწყოთ ღორების, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ცხვრის სუქება სახაფხულო ბალღებზე.

ჩვენ დავსახეთ მარცვლეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ფორუმი

პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესი

პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესზე — მუშათა კლასის დიდ ასამბლეაზე — 12 დეკემბრის გრძელდებოდა ლეი საიანისა და იბრაჰიმ ზაჭარიას მოხსენებათა განხილვა, რომლებშიც წამოყენებული იყო საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის აქტუალური საკითხები.

დილის სხდომაზე პირველმა აიღო სიტყვა პორტუგალიის პროფკავშირთა წარმომადგენელმა **მანუელ ბრანკომ.** იგი ამბობს, რომ ახლანდელი პორტუგალია ტერორის ქვეყანაა, სადაც სასტიკად სუფრრდებიან ყველა პროგრესულ ელემენტს სალაზარის სისხლიანი დიქტატურა ემყარება ამერიკელ იმპერიალისტთა მხარდაჭერას. მათი დახმარებით ცდილობს იგი ჩაახშოს ანგოლის ხალხის პატრიოტული ბრძოლა. პორტუგალიის მუშათა კლასი რაზმავს თავის ძალებს ამ სამარცხვინო ომის წინააღმდეგ.

სიტყვას ამბობს ვენესუელის პრომელთა კონფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი **მანუელ ტაბორდა.** იგი აღნიშნავს, რომ, კუბის რევოლუციის წარმატებით შეშინებული, ამერიკის იმპერიალიზმი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა კიდევ უფრო დააკაბალოს ლათინური ამერიკის ხალხები, ამზადებს ახალ საომარ პროვოკაციებს კუბის წინააღმდეგ. ლათინური ამერიკის მუშათა კლასი და ხალხები, აცხადებს ორატორი, მზად უნდა იყვნენ თავისუფალი კუბის დასაცავად.

ყოველი ჩვენგანი დარწმუნებულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესს, — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილემ **ფერნანდო სანტომ.** იგი აღნიშნავს ფაშიზმის და დიქტატორული რეაქციული რეჟიმების აღორძინების საფრთხის ევროპაში, ამბობს, რომ მზვადება საერთაშორისო გეთარება. ამასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა პროფკავშირთა საქმიანობის შემადგენელი ნაწილია და უნდა შეესაბამებოდეს ბრძოლას მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის.

შეეციის მშენებელთა **პროფკავშირის** ფედერაციის წარმომადგენელმა **რაგნარ ანდერსონმა** აღნიშნა, რომ შეეციის მუშათა კლასს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავისი წვლილი შეიტანოს მშვიდობის დაცვის კეთილშობილურ საქმეში.

ალბანეთის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს მდივანმა **ტომი ოცანიმ** თავის გამოსვლაში მოიწონა პროფკავშირთა მოქმედების პროგრამა, რომელიც შემოტანილია კონგრესის განსახილველად, აგრეთვე ღია საიანისა და იბრაჰიმ ზაჭარიას მოხსენებები.

ბოლივიის პროფკავშირთა წარმომადგენელმა **ბენედიტო დელმადელიმ** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა, რომ პროფკავშირთა V მსოფლიო კონგრესის დოკუმენტები გახდება პროგრამა ბოლივიელ მშრომელთა ბრძოლისა სოციალური სამართლიანობისათვის, მშვიდობისათვის, იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალე მადლობა უძღვნა კონგრესზე გამოსულისათვის პერუს ვაჭრობის მუშაკთა ფედერაციის მდივანმა **ამადორ ლიუ დომინგესმა.** ის გამოსულა. ამბობს იგი, ახალ ძალებს მატებს მშრომელებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ჩვენ მივესალმებით საბჭოთა კავშირს უდიდესი წვლილისათვის, რომელიც მოიპოვა მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის დარგში, კოსმოსის მშვიდობიანათვისებაში.

გამოღის სუდანის მშრომელთა პროფკავშირების ფედერაციის ღონისძიებათა კომიტეტის წევრი **ბაილ სერური.** იგი ამბობს, რომ მისი ქვეყნის მშრომელები მიმდინარეობს მაშინ, როცა სოციალისტურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და საერთაშორისო მუშათა კლასს აქვს მთელი ძალები, რათა უზრუნველყონ კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაცია და დაიცვან მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ფართოდება პროფკავშირული მოძრაობა კოსტა-რიკაში. მშრომელები იბრძვიან აქ სძლიონ ამერიკის მონოპოლიის — „უნაიტედ ფრუტ კომპანის“ წინააღმდეგ, რომელიც განაგებს დასამუშავებელი მიწების მესამედს, რკინიგზებს, საზღვაო ნაგმისაღგომებს, აეროპორტებს. ამ ბრძოლაზე ილაპარაკა კონგრესზე კოსტა-რიკის პროფკავშირთა ფედერაციის წარმომადგენელმა **ანხელმო მაკარტამ.**

პარაგვაის მეზღვაურთა პროფკავშირის წარმომადგენლის **გრეგორიო როდრიგესის** სიტყვა მიეძღვნა ამ ქვეყნის მშრომელთა მძიმე ბრძოლას სამხედრო დიქტატურის უღლის წინააღმდეგ. ორატორმა საკონცენტრაციო ბანაკების ქვეყანა უწოდა პარაგვაის. მაგრამ პარაგვაის ხალხი განაგრძობს ბრძოლას ღირსეული — გამარჯვება ან სიკვდილი.

კონგრესის დილის სხდომა დამთავრდა საბერძნეთის დემოკრატიული პროფკავშირული მოძრაობის წარმომადგენლის **იანის პაპადემეტრიუს** გამოსვლით. მშრომელთა მდგომარეობა, ამბობს ორატორი, კელავაც გაუარესდება მთავრობის იმ გადაწყვეტილების გამო, რომ შეუერთდეს საერთო ბაზარს, რომელიც მონოპოლიათა ინტერესებისათვის შეიქმნა.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა კვიპროსის ბანკის მოსამსახურეთა პროფკავშირის გენერალური მდივანი **სოკრატეს ჯორჯ მიხაელიდისი.** მან დელეგატებს გააცნო ამ პროფკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა, უსურვა კონგრესს სრული წარმატება მუშაობაში.

ტრობუნაზე ნიკარაგუას მშრომელთა გენერალური კონფედერაციის მდივანი **ანტონიო პალმა,** მან მოიყვანა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ამ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის გაჭირვებულ მდგომარეობას. ამერიკის მონოპოლიები ძარცვავენ ნიკარაგუას სიმდიდრეს, ხელს უშლიან დემოკრატიულ გარდაქმნათა განხორციელებას ნიკარაგუაში. მაგრამ მუშათა მოძრაობა ხდება ძალა, რომელიც იბრძვის არა მარტო ჯოხონომიური, არამედ პოლიტიკური მოთხოვნებისთვისაც.

მადაგასკარის პროფკავშირთა ფედერაციის ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა **რაიოსუამ** თქვა, რომ მისი ქვეყნის მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ გადააქციონ კუნძული ნატოს საჰაერო-სტრატეგიულ ბაზად. მალგაშის რესპუბლიკის მუშათა კლასი ბოიკოტს უცხადებს „თავისუფალ“ პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციას, რომელიც ცდილობს გათიშოს აფრიკის და მალგაშის მუშათა ორგანიზაციები.

სსრ კავშირის ხალხთა ძმურმა მეგობრობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, განაცხადა თავისი დელეგაციის სახელით კუნის პროფკავშირთა კონგრესის ხაზინარმა **გიდეონ მუტისიმ.** მან აღნიშნა, რომ კუნის პროფკავშირთა კონგრესი მშრომელთა ერთობის განმტკიცებისათვის მეტად მძიმე პირობებში იბრძვის. მიუხედავად ამის, მისი გავლენა იზრდება, და იგი სარგებლობს მშრომელთა სულ უფრო მეტი მხარდაჭერით.

კოლონიალიზმის დაუყოვნებელი ლიკვიდაცია აფრიკის კონტინენტზე უპირველესი ამოცანაა, თქვა სიტყვაში ნიგერიის მშრომელთა საყოველთაო კავშირის წარმომადგენელმა **სოუ ალაჰანმა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერთობა და შეკავშირება აფრიკელთა მთავარი იარაღია კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშრომელთა მსოფლიო ასამბლეას ქვეთილი სურვილები გადასცა ბირმის პროფკავშირთა კონგრესის ვიცე-თავმჯდომარემ **ტაკინ ლუ ემ.** ჩვენ სავსებით ბხარს ვუჭერთ პროფკავშირთა მოქმედების პროგრამის პროექტს, განაცხადა მან. ბირმის მუშათა კლასის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს ამ პროგრამის სისწორეს.

საფრანგეთის გვიანის წარმომადგენელმა (კოლონია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე) **აარონ რემომ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირულ ერთობას კოლონიური ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, და მოუწოდა კოლონიების ყველა მშრომელს შეკავშირნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გარშემო.

ადენის ტრიდუნიონთა კონგრესის წარმომადგენელმა **აბდო ჰალიდმა** განაცხადა, რომ კოლონიზატორები ცდილობენ გათიშონ მუშათა მოძრაობა ადენში. ბრიტანეთისა და ამერიკის იმპერიალისტები აღენში აშენებენ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზებს, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას. აბდო ჰალიდმა სთხოვა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას მხარი დაუჭიროს აღენის პროფკავშირებს ამ ბაზების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაროკოს შრომის კავშირის ცენტრალური ბიუროს წევრი **ტიბარი მუსადი** მიესალმა კონგრესს თავისი ქვეყნის 650 ათასი მშრომელის სახელით. თანამედროვე ეტაპზე მაროკოს მუშათა კლასის მიზანია, თქვა ორატორმა, მიაღწიოს სრულ გამარჯვებას ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მოსპოს ეკონომიკის იმპერიალისტურ მონოპოლიათა გავლენისავან.

სხდომის თავმჯდომარე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე **ა. ლოგა-სოვინსკი** აცხადებს, რომ ლუი საიანისა და იბრაჰიმ ზაჭარიას მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო 114 კაცმა 128 ჩაწერილიდან. რეგლამენტის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად დისკუსია დამთავრებულია.

საღამოს სხდომამ მოისმინა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სარევიზიო კომისიის ფინანსური ანგარიში. კონგრესის დელეგატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს იგი.

13 დეკემბერს კონგრესი განიგრძობს მუშაობას. (საკდესი).

ალჟირის ჭალებმა ძველი ჩვეულებები უკუაგდეს, პირბადეები მოიხსნეს და მტკიცედ მოითხოვენ: „მშვიდობა ალჟირს! თავისუფლება ალჟირელ ხალხს!“

ფოტოსურათი გერმანულ გაზეთ „დი ველტიდან“.

ისტორიის სვლას ვერ შეაჩერებენ

სრული ერთი წლის წინათ — 1960 წლის 14 დეკემბერს — გაეროთანაერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ საბჭოთა კავშირის ინიციატივით მიიღო დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ისტორიას ეს შესანიშნავი დოკუმენტი, რომელმაც სიკვდილის განაჩენი გამოუტანა ძირმომაკლ კოლონიურ რეჟიმს, გამოვიდა მზის სინათლეზე დასავლეთის სახელმწიფოთა გაფფორებული წინააღმდეგობის მიუხედავად. როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 89 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხმა მისცეს დეკლარაციას, ყველაზე თავგასულმა რასისტებმა და კოლონიზატორებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა, კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

მსოფლიომ მალე დაინახა, თუ რას ნიშნავდა სინამდვილეში მათი „თავის შეკავება“. მოწოდებას კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭების შესახებ მათ უპასუხეს ომით ანგოლისა და ომანის ხალხების წინააღმდეგ, ბინძური ომის განგრძობით ალჟირსა და კონგოში...

წელიწადზე ცოტა მეტ ხანში პორტუგალიელმა დამხვრეველებმა ანგოლაში მოსპეს 50 ათასზე მეტი უმწეო ქალი, მოხუცი და ბავშვი, ფერფლად აქციეს ჩრდილოეთ პროვინციების სოფლები, აიძულეს 80 ათასი ანგოლელი უცხოეთში ეძებნათ თავშესაფარი. როგორც ლონდონის გაზეთი „დეილი მირორი“ აღნიშნავს, ახლა კოლონიზატორები აშკარაგად იკვეხნიან, რომ განზრახული აქვთ დაბოცონ კიდევ ასი ათასი ანგოლელი. ანგოლის ახალმა გუბერნატორმა დე სლანდესმა ანგოლელ პატრიოტთა მოთხოვნას — ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ უპასუხა: „ერთადერთი ალტერნატივა, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ, ეს არის ნებაყოფლობითი კაპიტულაცია ან მოსპობა“.

მერვე წელიწადია მიმდინარეობს ომი ალჟირში. „თვითგამორკვევის“ შესახებ დე გოლის ლაყბობის აკომპანემენტის პირობებში ხდება ათიათასობით ადამიანი. ახლა არ არის არც ერთი ალჟირელის ოჯახი, რომელიც არ დასტიროდეს თავის ნათესავებსა და ახლობლებს. მილიონმადე ალჟირელი დაიღუპა ამ ომში, 200 ათასი პატრიოტი გამომწყვდეულია საპატიმროთა ჯურღმულებში, ალჟირის 300 ათასი მკვიდრი მცხოვრები იფარებს თავს მომე ალჟირელთა ქვეყნების ტერიტორიაზე.

წლიდან წლამდე — აი უკვე 15 წელია — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გმობს სამხრეთაფრიკელ რასისტთა ბნეობას, რომლებმაც არა მარტო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, არამედ აგრეთვე სამეურვეო სამხრეთ-დასავლეთი აფრიკა გადაქცევის ტერიტორიად, სადაც, როგორც ერთი ამერიკელი იურისტი ამბობს, „ხალხს უფრო სასტიკად ეპყრობიან, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში“. როგორ გამოეხმაურა ფერვორციის მთავრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისტორიულ დადგენილებას? ამ წლის 7 დეკემბერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერიკ ლოუმ გენერალური ასამბლეის XVI სესიიდან დაბრუნების შემდეგ იოჰანესბურგის აეროპორტში განაცხადა: „მთავრობა, რომელიც დღეს ქვეყანაში ებატონება, კვლავაც განახორციელებს აპარტეიდის პოლიტიკას“.

უკანასკნელი წლის ამბების მთელმა მსვლელობამ დაადასტურა, რამდენად დროულად დაიყენა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საკითხი კოლონიალიზმის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ. იმპერიალისტები ინიციატორებად ლაყბობდნენ, „საჭირო არ არის კოლონიალიზმის მკვდარ ცხენს შოლტი ვურტყათო“, რომ ისინი თითქოს ნებაყოფლობით ანჭრებენ დამოუკიდებლობას თავიანთ კოლონიებს, ნამდვილად კი მთელი ძალღონით ცდილობენ შეაფერხონ ხალხთა განთავისუფლება. დეკლარაციის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ 88 ტერიტორია 70 მილიონზე მეტი მცხოვრებით ჯერ კიდევ დამოკიდებული რჩება მარტო აფრიკაში კოლონიური მონობაში იტანჯება 50 მილიონზე მეტი აფრიკელი. დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში იძულებულნი არიან დამოუკიდებლობა მიანიჭონ თავიანთ კოლონიებს, პოულობენ ხოკოლონიალიზმის ღალრესად ეიზენჰაურ ფორმებს, რათა შეინარჩუნოს იმის შესაძლებლობა, რომ კვლავ ისებდნენ მოგებას მინერალური სიმდიდრისა და მუშათა მუშახელის ექსპლოატაციით.

კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების ავხედითმა საბოტაჟმა საბჭოთა კავშირი იძულებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომდინარე სესიაზე დაესვა საკითხი დეკლარაციის შესრულების მომდინარეობის შესახებ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბრძოლაში გამეფებული რუტინული მოწყენილობა ერთბაშად შეიცვალა აფრიკისა და აზიის ქვეყნების დელეგატთა მგზნებარე მამხილებელი გამოსვლებით, რომლებმაც მოაწყვიტეს კოლონიზატორთა ნამდვილი გასამართლება. ატმოსფერო იმდენად გამწვავდა, რომ ბელგიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებმა ამჯობინეს დატოვებინათ სხდომები. უშედეგო გამოდგა დასავლეთის დელეგაციების ცდა ნიგერიის დელეგატის მეშვეობით თავს მოეხვიათ გენერალური ასამბლეისათვის რეზოლუციის პროექტი, რომელიც სამუდამოდ აძლევს კოლონიურ ხალხებს 1970 წლამდე გაპვიანურონ კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. გავდა აფრიკისა და აზიის 34 ქვეყნის წინადადება, რომელიც უშენიშვნოდ გმობს კოლონიზატორთა ცდებს ჩაფუშონ დეკლარაციის შესრულება. ეჭმნება სპეციალური კომიტეტი, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების განუხრელად შესრულებას.

ს. ლოსევი.

ვიზინგერი ჯალათია

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის

სახელი ყოფილი ჰიტლერელი გენერლის ადოლფ ჰოიზინგერისა — ჰიტლერის ერთ-ერთი უახლოესი ხელქვეითისა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთ გერმანიის ატომბომების გამოცდას ალჟირის საჰარაში“.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ახალი ატომური აფეთქებისთვის მზადება საფრანგეთმა დაამთავრა; საექსპერიმენტო პოლიგონის რაიონს იცავენ საფრანგეთის ჯარები“.

ჯენევა, 13 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ლე მონდის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამერიკის ატომური ბომბების ნაწილს ინახავს ნატოს ბაზებში საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამ ბომბების ნაწილი ფრანგ ოფიცრებს გადაეცა ტრენირებისთვის.

პარიზი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ატლანტიკელი მოკავშირეები „წინანდებურად სავსებით ენდობიან“ დასავლეთგერმანელ გენერალს ადოლფ ჰოიზინგერს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, აღნიშნავს რა, რომ ეს განცხადება გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებს გადაეცეს სამართალში მისაცემად სამხედრო დამნაშავე ჰოიზინგერი. ნატოს წრეებში, აღნიშნა წარმომადგენელმა, დიდად აფასებენ ჰოიზინგერის სამსახურს, რომელიც ნატოს მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეა, და მის ერთგულებას ატლანტიკის გაერთიანების საქმისადმი.

ვაშინგტონი, 13 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნმა“ გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომელშიც, იმოწმებს რა სარწმუნო ცნობებს და წერს, რომ „საფრანგეთი უახლოეს მომავალში აპირებს ახალი ატომური ბომბის გამოცდას ალჟირის საჰარაში“.

ჟენევა, 13 დეკემბერი. (საკდესი). ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ატლანტიკელი მოკავშირეები „წინანდებურად სავსებით ენდობიან“ დასავლეთგერმანელ გენერალს ადოლფ ჰოიზინგერს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, აღნიშნავს რა, რომ ეს განცხადება გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებს გადაეცეს სამართალში მისაცემად სამხედრო დამნაშავე ჰოიზინგერი. ნატოს წრეებში, აღნიშნა წარმომადგენელმა, დიდად აფასებენ ჰოიზინგერის სამსახურს, რომელიც ნატოს მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეა, და მის ერთგულებას ატლანტიკის გაერთიანების საქმისადმი.

საერთაშორისო დღიური

ცხოვრება

ჰიტლერის ჯალათი

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის

სახელი ყოფილი ჰიტლერელი გენერლის ადოლფ ჰოიზინგერისა — ჰიტლერის ერთ-ერთი უახლოესი ხელქვეითისა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთ გერმანიის ატომბომების გამოცდას ალჟირის საჰარაში“.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ახალი ატომური აფეთქებისთვის მზადება საფრანგეთმა დაამთავრა; საექსპერიმენტო პოლიგონის რაიონს იცავენ საფრანგეთის ჯარები“.

ჯენევა, 13 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლე მონდის“ ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამერიკის ატომური ბომბების ნაწილს ინახავს ნატოს ბაზებში საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამ ბომბების ნაწილი ფრანგ ოფიცრებს გადაეცა ტრენირებისთვის.

პარიზი, 13 დეკემბერი. (საკდესი). ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ატლანტიკელი მოკავშირეები „წინანდებურად სავსებით ენდობიან“ დასავლეთგერმანელ გენერალს ადოლფ ჰოიზინგერს, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, აღნიშნავს რა, რომ ეს განცხადება გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის ნოტის გამო, რომელიც მოითხოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებს გადაეცეს სამართალში მისაცემად სამხედრო დამნაშავე ჰოიზინგერი. ნატოს წრეებში, აღნიშნა წარმომადგენელმა, დიდად აფასებენ ჰოიზინგერის სამსახურს, რომელიც ნატოს მუდმივი სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეა, და მის ერთგულებას ატლანტიკის გაერთიანების საქმისადმი.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი

პრაღა, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა თავისი ელჩი გამოიწვიოს ალბანეთიდან, რადგან ჩეხოსლოვაკიის ელჩის მიმართ ალბანელ ხელისუფალთა ღონისძიებების შედეგად განხრახ შეიქმნა პირობები, რომელთა გამო სრულიად შეუძლებელი გახდა მისი როგორც ელჩის ნორმალური საქმიანობა, რის შედეგად მისი ტრანაში ყოფნა სრულიად ზედმეტია.

ტირანაში ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა დაევალა დროებით რწმუნებულს.

მთელ რიგ პროფკავშირთა შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა ალბანეთის წარმომადგენლობა პრაღაში — მტრული ბეჭდვითი მასალის გავრცელება, მიზნად რომ ისახავს სოციალისტური ბანაკის ერთობის დარღვევას, ალბანელ სტუდენტთა ბანაობა ამავდროულად ანტისაბჭოთა საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც სრულიად შეუთავსებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის მისიასა და საქმიანობასთან, რასთანაც მთელი ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ალბანეთის ელჩის ქცევას, ალბანეთის ელჩის შემდგომი ყოფნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შეუთავსებელია.

ტირანიდან სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა გაწვევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას მიმართა თხოვნით დაიცვას სსრ კავშირის ინტერესები ალბანეთში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დაკმაყოფილა ეს თხოვნა.

ქენევის თათბირზე

ჟენევა, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ერთა სასახლეში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით გაიმართა 346-ე სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

სხდომაზე გამოვიდა ამერიკის დელეგატი სტელე. მან ბრალი დასდო საბჭოთა კავშირს, რომ აყოვნებს თათბირის მუშაობას და, რომ თითქოს საბჭოთა მხრიდან უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების გეგმის განხილვაზე, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში წამოაყენეს, და პირველმა დაარღვია მორატორიუმი, როცა განაახლა ატომური იარაღის გამოცდა.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა რატმა თავისი გამოსვლა დაიწყო თვლობაქცური განცხადებით, რომ შეიძლება არის „დადოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში“. იგი არ ჩასწვდა საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათა არსს და ამტკიცებდა, რომ ამ წინადადებებში არაფერია ისეთი, რომ „ყურადღებას იმსახურებდეს“.

ამერიკის წარმომადგენლისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის არგუმენტები დამაჯერებლად გააბათილა თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა.

საერთაშორისო დღიური

ცხოვრება

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის გადაწყვეტილებანი

პრაღა, 13 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა თავისი ელჩი გამოიწვიოს ალბანეთიდან, რადგან ჩეხოსლოვაკიის ელჩის მიმართ ალბანელ ხელისუფალთა ღონისძიებების შედეგად განხრახ შეიქმნა პირობები, რომელთა გამო სრულიად შეუძლებელი გახდა მისი როგორც ელჩის ნორმალური საქმიანობა, რის შედეგად მისი ტრანაში ყოფნა სრულიად ზედმეტია.

ტირანაში ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა დაევალა დროებით რწმუნებულს.

მთელ რიგ პროფკავშირთა შედეგად, რასაც ადგილი ჰქონდა ალბანეთის წარმომადგენლობა პრაღაში — მტრული ბეჭდვითი მასალის გავრცელება, მიზნად რომ ისახავს სოციალისტური ბანაკის ერთობის დარღვევას, ალბანელ სტუდენტთა ბანაობა ამავდროულად ანტისაბჭოთა საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც სრულიად შეუთავსებელია დიპლომატიური წარმომადგენლობის მისიასა და საქმიანობასთან, რასთანაც მთელი ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობა ალბანეთის ელჩის ქცევას, ალბანეთის ელჩის შემდგომი ყოფნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში შეუთავსებელია.

ტირანიდან სსრ კავშირის საელჩოსა და სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელთა გაწვევასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობამ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას მიმართა თხოვნით დაიცვას სსრ კავშირის ინტერესები ალბანეთში. ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ დაკმაყოფილა ეს თხოვნა.

ქენევის თათბირზე

ჟენევა, 13 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ერთა სასახლეში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ს. კ. ცარაპკინის თავმჯდომარეობით გაიმართა 346-ე სხდომა სამი სახელმწიფოს თათბირისა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ.

სხდომაზე გამოვიდა ამერიკის დელეგატი სტელე. მან ბრალი დასდო საბჭოთა კავშირს, რომ აყოვნებს თათბირის მუშაობას და, რომ თითქოს საბჭოთა მხრიდან უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების გეგმის განხილვაზე, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში წამოაყენეს, და პირველმა დაარღვია მორატორიუმი, როცა განაახლა ატომური იარაღის გამოცდა.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა რატმა თავისი გამოსვლა დაიწყო თვლობაქცური განცხადებით, რომ შეიძლება არის „დადოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში“. იგი არ ჩასწვდა საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათა არსს და ამტკიცებდა, რომ ამ წინადადებებში არაფერია ისეთი, რომ „ყურადღებას იმსახურებდეს“.

ამერიკის წარმომადგენლისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლის არგუმენტები დამაჯერებლად გააბათილა თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა.

„ოტელო“ მსოფლიო ასპარეზზე

შორს გაითქვა სახელი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ალექსი მაჭავარიანის ბალეტმა „ოტელომ“, რომლის ბრწყინვალე დადგმა განახორციელა ლენინური პრემიის ლაურეატმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვახტანგ ჭაბუკიანმა.

ბალეტის ავტორთა სახელზე უცხოეთიდან მოდის არაერთი წერილი, რომლებშიც ითხოვენ ბალეტის პარტიტურას, იწვევენ ვ. ჭაბუკიანს, ა. მაჭავარიანს.

ბალეტის გამოჩენილმა ფრანგმა ოსტატებმა დეიდემ და მიშელ რენომ თავიანთ საკონცერტო პროგრამაში შეიტანეს „ოტელოს“ მესამე აქტი და წარმატებით გამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

„ოტელოს“ პოპულარობას განსაკუთრებით შეუწყო ხელი თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მიერ ამავე სახელწოდებით გამოშვებულმა კინოსურათმა, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მოიარა.

ამ ფილმს იაპონიაშიც უჩვენებდნენ. ბალეტის მუსიკამ, ჭაბუკიანის დადგმამ და მისმა ცეკვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონელ მაყურებლებზე, კულტურის მუშაკებზე.

ტოკიოს ბალეტის ახალგაზრდულმა კოლექტივმა, რომელიც უმთავრესად კლასიკურ ნაწარმოებებს დგამს, გადაწყვიტა დაედგა მაჭავარიანის „ოტელო“. დასის ხელმძღვანელმა, ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ წარმატება იაპონიაში

ბალეტის დიდმა სპეციალისტმა ჭალმა მასუიამა მიკიკომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მუსიკის ავტორს გამოუგზავნა წერილი, სადაც წერდა:

„იაპონიის მუსიკის მოყვარულ მშრომელთა ორგანიზაციის „როონის“ წარმომადგენლებმა მაკინომ და აკუზავამ, რომლებიც სსრ კავშირიდან დაბრუნდნენ, მოგვითხრეს, რომ დაინტერესებული ბრძანდებით ბალეტ „ოტელოს“ დადგმით. ამან ფრიად გაგვახარა. ჩვენ დიდი ხანია ვემზადებით ბალეტის დასადგმელად. შევძელით რამდენჯერმე გვენახა საბჭოთა კინოსურათი „ოტელო“ ბ-ნ ჭაბუკიანის დადგმით, რომლის მუსიკა თქვენ შექმენით.

ჩვენი სურვილია, საბჭოთა ბალეტის მაგალითისამებრ, რომელშიც ასე ნიჭიერად არის გადმოცემული შექსპირის ქმნილების საუკუნეობით უჭკნობი სილამაზე, რამდენადაც ძალგვიძს წარმოვუდგინოთ ეს სილამაზე იაპონელ მაყურებელს.

დარწმუნებული ვართ, რომ ბალეტ „ოტელოს“ დადგმა ბიძგს მისცემს მეგობრებს, უსურვებს მათ წარმატებებს და მადლობას უხდის მისი ნაწარმოების მაღალი შეფასებისათვის.

იაპონიაში „ოტელოს“ დადგმა ქართული მუსიკალური ხელოვნების დიდი გამარჯვებაა. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან ეს პირველია, რომელიც იაპონიის სცენაზე დაიდგა.

როგორც კომპოზიტორმა მაჭავარიანმა გვიამბო, ბალეტ „ოტელოს“ დასადგმელად ამზადებენ პარიზში, ბუქარესტში. ბალეტის პარტიტურის მიკროფილმები გაგზავნილია ბულგარეთში, ბელგიაში.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სცენა ტოკიოში დადგმულ სპექტაკლიდან „ოტელო“; სარეკლამო სურათები სპექტაკლიდან და კინოფილმიდან „ოტელო“.

ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს“ წარმატება იაპონიაში

✦

ბალეტის დიდმა სპეციალისტმა ჭალმა მასუიამა მიკიკომ ამ რამდენიმე ხნის წინათ მუსიკის ავტორს გამოუგზავნა წერილი, სადაც წერდა:

„იაპონიის მუსიკის მოყვარულ მშრომელთა ორგანიზაციის „როონის“ წარმომადგენლებმა მაკინომ და აკუზავამ, რომლებიც სსრ კავშირიდან დაბრუნდნენ, მოგვითხრეს, რომ დაინტერესებული ბრძანდებით ბალეტ „ოტელოს“ დადგმით. ამან ფრიად გაგვახარა. ჩვენ დიდი ხანია ვემზადებით ბალეტის დასადგმელად. შევძელით რამდენჯერმე გვენახა საბჭოთა კინოსურათი „ოტელო“ ბ-ნ ჭაბუკიანის დადგმით, რომლის მუსიკა თქვენ შექმენით.

ჩვენი სურვილია, საბჭოთა ბალეტის მაგალითისამებრ, რომელშიც ასე ნიჭიერად არის გადმოცემული შექსპირის ქმნილების საუკუნეობით უჭკნობი სილამაზე, რამდენადაც ძალგვიძს წარმოვუდგინოთ ეს სილამაზე იაპონელ მაყურებელს.

დარწმუნებული ვართ, რომ ბალეტ „ოტელოს“ დადგმა ბიძგს მისცემს მეგობრებს, უსურვებს მათ წარმატებებს და მადლობას უხდის მისი ნაწარმოების მაღალი შეფასებისათვის.

იაპონიაში „ოტელოს“ დადგმა ქართული მუსიკალური ხელოვნების დიდი გამარჯვებაა. ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან ეს პირველია, რომელიც იაპონიის სცენაზე დაიდგა.

როგორც კომპოზიტორმა მაჭავარიანმა გვიამბო, ბალეტ „ოტელოს“ დასადგმელად ამზადებენ პარიზში, ბუქარესტში. ბალეტის პარტიტურის მიკროფილმები გაგზავნილია ბულგარეთში, ბელგიაში.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათებზე (მარცხნიდან მარჯვნივ): სცენა ტოკიოში დადგმულ სპექტაკლიდან „ოტელო“; სარეკლამო სურათები სპექტაკლიდან და კინოფილმიდან „ოტელო“.

ამბავ შენზე ამბობენ,
ჩემო სამშობლოვ!

✦

პაულო სილვეირას შთაბეჭდილებები

ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ბრაზილიელ ჟურნალისტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა რიო-დე-ჟანეიროს გაზეთ „ულტიმა ორას“ დირექტორი პაულო სილვეირა.

სამი დღის განმავლობაში ბრაზილიელი სტუმრები ეცნობოდნენ რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

ჰქონდათ შეხვედრები ქართველ ჟურნალისტებთან.

გამგზავრების წინ დელეგაციის ხელმძღვანელმა პაულო სილვეირამ გვიბრძანა თავისი შთაბეჭდილებები:

— მე პირველად მიხდება ყოფნა საბჭოთა ქვეყანაში და უნდა მოგახსენოთ, რომ შესანიშნავი შთაბეჭდილებები მივიღე.

ვიყავით მოსკოვში, რიგასა და სოჭში, ვეწვიეთ თბილისს — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს. საქართველო და მისი დედაქალაქი განსხვავდებიან საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებისა და ქალაქებისაგან სამრეწველო, ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურებით. თბილისში უველაზე მეტად განვაცვიფრა ამ ქალაქის ადამიანთა დიდმა ენთუზიაზმმა და შრომისმოყვარეობამ, გემოვნებამ და შემოქმედებითმა აღფრთოვანებამ. ეს იგრძნობა ქალაქის უველ კუთხეზე, უველ უბანში, ამაზე მეტყველებენ დიდებულ არქიტექტურულ ნაგებობათა ანსამბლები, ამას ხედავ ქალაქის სამრეწველო უბნებში, მის ულამაზეს ბაღებსა და პარკებში.

საქართველოში თავს ვგრძნობდით როგორც საკუთარ სახლში. ქართველები ძალიან ჰგვანან ბრაზილიელებს არა მარტო გარეგნობით, არამედ იშვიათი ტემპერამენტითაც.

მივდივართ და თან მიგვაქვს წარუშლელი შთაბეჭდილებები თქვენს ქვეყანაზე. არასოდეს არ დავგვიწყდება აქ გატარებული დღეები.

ახლა, როდესაც ჩვენს ქვეყნებს შორის აღდგენილია დიპლომატიური ურთიერთობა, მწამს, რომ საბჭოთა და ბრაზილიელ ხალხებ კიდევ უფრო დაუახლოვდებიან ერთმანეთს. ჩვენი გულწრფელი სურვილია საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიას შორის არსებობდეს არა მარტო დიპლომატიური, ოფიციალური დამოკიდებულება, არამედ დამყარდეს ნამდვილი, გულახდილი, მჭიდრო მეგობრობაც.

ვხედავთ საქართველოს და ვნება მიბმიძეთ ბრაზილიელი ჟურნალისტების სახელით გადავცე ჩვენი მხურვალე სალამი ქართველ ხალხს, რომელმაც ასე გულთბილი მიღება მოგვიწყო.

პაულო სილვეირამ თავისი ავტოგრაფიც გადმოგვცა:

Ada bravas amigos e
colegas. Georgianos,
a amizade leal
dos jornalistas do Brasil.

Tbilisi, 29 Outubro 61

ქართველ მეგობრებს, თქვენი გაზეთის მკითხველებს გულწრფელი, მეგობრული სალამი ბრაზილიელი ჟურნალისტებისაგან.

პაულო სილვეირა.

კიბერნეტიკა და სიცოცხლე

სულ რამდენიმე წლის წინათ ბიტყვა კიბერნეტიკა მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი. კიდევ უფრო ძნელი იყო ისეთი ადამიანის ნახვა, რომელსაც ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა. ამჟამად კი თვითეული განათლებული ადამიანისათვის კიბერნეტიკა ცნობილია როგორც მეცნიერება, რომელიც შეისწავლის როგორც ცოცხალ ორგანიზმებში, ისე მანქანებსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მართვას.

ერთი მხრივ ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ, ენერგიის ახალი წყაროების აღმოჩენამ, ამ წყაროების სიმძლავრემ და ამ წყაროებიდან ენერგიის მიღებასთან დაკავშირებული პროცესების სირთულემ, ხოლო მეორე მხრივ ისეთი რთული ფუნქციონალური სისტემების შესწავლის აუცილებლობამ, როგორიც არის ცოცხალი ორგანიზმი თავისი უაღრესად ურთულესი სტრუქტურითა და მრავალმხრივი ქცევით, გაბაპირობა მართვის შესახებ დამოუკიდებელი მეცნიერების — კიბერნეტიკის წარმოშობა და განვითარება.

კიბერნეტიკა კვლევის პროცესებში ეყრდნობა მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიის მიღწევებს. ეს მეცნიერებანი შეადგენენ კიბერნეტიკის თეორიულ საფუძველს. კიბერნეტიკის ტექნიკურ ბაზას შეადგენენ რთული ავტომატური მოწყობილობანი და სწრაფად მოქმედი გამომთვლელი მანქანები. კიბერნეტიკა ერთნაირი მეთოდებით უკეთებს ანალიზს მართვის პროცესებს ერთმანეთისაგან სავსებით განსხვავებულ ობიექტებში, როგორიც არიან მანქანები, ცოცხალი ორგანიზმები და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი დარგი, არკვევს ერთიან პრინციპებსა და კანონზომიერებებს, რომლებიც ამ პროცესებს ახასიათებს, და ამ ანალიზის შედეგებს იყენებს ისეთი ავტომატების შესაქმნელად, რომლებიც მოწოდებული არიან გათავისუფლონ ადამიანი გონებრივი შრომის ერთფეროვანი და მოქანცავი ეტაპებისაგან. კიბერნეტიკა აგრეთვე ეწევა ისეთი ზუსტი და რთული პროცესების ავტომატიზაციის საფუძვლების შესწავლას, რომლებშიც უშუალო ჩარევა ადამიანს არ ძალუძს.

თეორიული კიბერნეტიკა ფართო პერსპექტივებს ხსნის ეკონომიკისათვის და სახალხო მეურნეობის დაგეგმვისათვის. კაპიტალდასახდებათა ეფექტიანობა, ტრანსპორტის გამოყენების მიზანშეწონილობა და ეკონომიკის ბევრი სხვა საკითხის დამუშავება გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით ახლა კიბერნეტიკოსთა ერთ-ერთ პასუხსაგებ ამოცანას წარმოადგენს. კიბერნეტიკის მეთოდებსა და იდეებს ცოდნის სულ ახალ და ახალ დარგებში იყენებენ. ბიოლოგია და მედიცინა, ლინგვისტიკა და იურისპრუდენცია, კოსმოსური ხომალდების მართვა და კოსმოსის ათვისებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტა — აი არასრული ხუთა იმ დარგებისა, სადაც დღესათვის კიბერნეტიკამ გამოყენება ჰპოვა.

ამ მეცნიერების განვითარება კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის ერთერთი პირობაა, ვინაიდან მასზე დიდად დამოკიდებულია არა მარტო ტექნიკური პროგრესი, არამედ ბიოლოგიისა და ეკონომიკის შემდგომი განვითარებაც. სკკპ ახალ პროგრამაში ნათქვამია:

„ფართოდ იქნება გამოყენებული კიბერნეტიკა, ელექტრონული საანგარიშო-ამოსახსნელი და მმართველი მოწყობილობანი მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიისა და ტრანსპორტის საწარმოო პროცესებში. მეცნიერულ კვლევაში, საგეგმო და საპროექტო საკონსტრუქტორო გაანგარიშებებში, აღრიცხვისა და მართვის სფეროში“.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განვითარებაში და უახლესი მეთოდებითა და ტექნიკური შესაძლებლობებით მედიცინის აღჭურვის საქმეში კიბერნეტიკამ უკვე მოგვცა პირველი შედეგები. მაგრამ მაინც ამ მიმართულებით ჯერ თითქმის არაფერი არ არის გაკეთებული იმასთან შედარებით, რის მიღწევაც შეიძლება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის კიბერნეტიკულ სიმპოზიუმს, რომელიც ამას წინათ სამ დღეს მიმდინარეობდა თბილისში. უნდა აღინიშნოს, რომ სიმპოზიუმში, რომელიც მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ინიციატივით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის საბეჭდო საბჭოს მხარდაჭერით, პირველი დიდი სიმპოზიუმი იყო კიბერნეტიკის საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში.

სიმპოზიუმი მიეძღვნა კიბერნეტიკის გამოყენებას ბიოლოგიაში, მედიცინასა და ზოგად ფილოსოფიურ და მეთოდოლოგიურ საკითხებს. თუმცა კიბერნეტიკის თითქმის ყველა საკითხი მეტად აქტუალურია, მაინც სიმპოზიუმის მუშაობა პირველ ალნაზე დაეყენებული იყო ბიოლოგიის პრობლემები, როგორც საკვანძო პრობლემები მეცნიერთა კეთილმობილურ ბრძოლაში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

სიმპოზიუმის მნიშვნელობა იმით არ ამოიწურება, რომ მასზე განხილულ იქნა ხალხის კეთილდღეობასთან მჭიდროდ დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული საკითხები, რომ მასზე გაკრცელებულ იქნა ამ მეცნიერულ მიღწევათა რეალური კონკრეტული შედეგები, რომლებიც შეიძლება დაინერგოს და კიდეც უნდა დაინერგოს მრეწველობასა და პრაქტიკაში. სიმპოზიუმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია იმით, რომ მიღწეულ იქნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე ბევრი მეცნიერის სხვადასხვა თვალსაზრისის ერთმანეთთან დაახლოება, აზრთა ურთიერთგაზიარება მათთვის საინტერესო მრავალ საკითხზე.

სიმპოზიუმზე გაკრცელდა ძირითადი მიმართულებანი, რომლებითაც უნდა იმუშაონ კიბერნეტიკის მეცნიერებმა ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში. ეს აოის, ჯერ ერთი, ტვინის, ცხოვრიერების, აზროვნების, ცხრებათა წარმოქმნის შესწავლა. მეორე — ბიოპოტენციალების შესწავლა და მათი გამოყენება სტიმულატორებად. მესამე — ქსელების, ურჯედების, ნეირონებისა და ცალკე მოქმედი ორგანოების მოდელირება და მეოთხე შრომის შემამსუბუქებელ ახალ ყოველგვარ ხელსაწყოთა შექმნა.

სიმპოზიუმის ორგანიზატორების მიერ შექმნილმა უშუალო და მეგობრულმა ატმოსფერომ დიდად შეუწყო ხელი მის მუშაობას.

აკადემიკოსი ა. ი. ბერგი,
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის საბეჭდო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სტატია დაჭერილია სპეციალურად გაზეთ „კომუნისტისათვის“.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტი. ხუთათზე: მეცნიერი მუშაკები ი. ათანელიშვილი (მარცხნივ) და ლ. ჯობავა ინსტიტუტის ლაბორატორიაში მუშაობის დროს. ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ტელეფონის ხაზზეა კოპენჰაგენი

„ეს დიდებული ანსამბლია“

ქართველ მოცეკვავეთა გასტროლები სკანდინავიის ქვეყნებში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იცით, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტები შვეციისა და ნორვეგიის ცენტრალურ ქალაქებში, ამჟამად სკანდინავიის მესამე ქვეყანაში — დანიაში იმყოფება.

ერთი კვირაა დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილია ქალაქის გრანდიოზული თეატრის — „ფალკონეს სამში“, სადაც კონცერტებს მართავენ ქართველი მოცეკვავეები. მეშვიდე დღეა „ფალკონეს“ დარბაზი, რომელიც 2.500 კაცს იტევს, ხალხით არის გაჭედილი. ასობით გულდაწყვეტილი მაყურებელი — ბილეთის შოვნის მომლოდინე თეატრის კართან წრიალებს.

ეს მოხდა რიონის პირას

ხშირი ჭვიმების შედეგად ადიდდა რიონი. წყლის სტიქია სოფელ ჭალადიდის მელიორაციის საბჭოთა მეურნეობის საგვიჩიოს აგროუბნის მელიორაციის ფერმას წალეკვით ემუქრებოდა. მეურნეობის მუშაკები გაეშურნენ და სასწრაფო ზომების ღილებდნენ, რომ ფერმასთან მისასვლელი წყლის მიმართულება შეეცვალათ. ფერმის მუშაკებს ეხმარებოდა აგრონომი მოხუცი თანასოფლელი ტარას შამანაძე, რომელიც შეცრად ღრმა ჭაღში შეცურდა და ცხენიდან გადავარდა. ზამთრის ტანსაცმლით დამძიმებული ტარასი ამაოდ ცდილობდა თავის გადარჩენას.

მოხუცის უმცროს მდგომარეობას თვალი მოჰკრა მეურნეობის სატვირთო მანქანის მძღოლმა მ. შუბითიძემ. მან სწრაფად გაიხადა ტანსაცმელი და ადიდებულ მდინარეში გადაეშვა. ცურვით მიიწია გრძნობადაკარგულ მოხუცთან და ნაპირზე გამოიყვანა. აქვე პირველი სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს და მოასულიერეს.

ა. ი. რა გვითხრა მან:

— დანიის დედაქალაქში უკვე შვიდი კონცერტი გავმართეთ, რომლებსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. დღეს საზოგადოებრიობის მოთხოვნით კიდევ ერთ დამატებით კონცერტს ვმართავთ. ჩვენს ერთ-ერთ კონცერტს დაესწრო ცნობილი დანიელი მხატვარი-კარიკატურისტი ბერლუფ ბიდსტრუპი, რომელიც კონცერტით ძალიან კმაყოფილი დარჩა და გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებები ქართულ ცეკვებსა და ანსამბლის წევრთა საშემსრულებლო ოსტატობაზე.

ხვალ ვტოვებთ კოპენჰაგენს და შვეციაში მივემგზავრებით, სადაც შვედი მაყურებლის დაჟინებითი მოთხოვნით 6 კონცერტს გავმართავთ სტოკჰოლმსა და გეტებორგში.

საგასტროლო ტურნეს სკანდინავიის ქვეყნებში 20 დეკემბერს ვამთავრებთ და სამშობლოში გამოვემგზავრებით.

„თანამედროვე ტრაგედია“

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა გ. გებრალიძის ახალი პიესა „თანამედროვე ტრაგედია“, რომლის დადგმა განახორციელა ახალგაზრდა რეჟისორმა ნ. ეშბამ. მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. მტენბერგმა, მუსიკა დაწერა ახალგაზრდა კომპოზიტორმა მ. ბერიკაშვილმა, ცეკვები დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ქორეოგრაფმა დ. მაჭავარიანმა.

პიესაში მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ლ. კასლანიძე, დ. ხუბუა და რ. აგრბა, მსახიობები: ე. კოღონია, ა. ერმოლოვი, ს. აგუმაა, ნ. კამკია და სხვები.

ნ. მიქაშავიძე.

ვადრაკი

დარჩა სამი ტური

ბაქო. 13 დეკემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მთავრებამდე 3 ტური დარჩა. დღეს გაიმართა მე-18 ტური.

ბრონშტეინმა მოუგო გიპსლისს, ტალმა — ხასინს, ავერბახმა — ნეჟმეტდინოვს, ტაიმანოვმა — შამკოვიჩს. ხოლმოვ-სავონის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო. გლადიმიროვი დანებდა ტაიმანოვს მე-17 ტურის გადადებულ პარტიაში.

18 ტურის შემდეგ სპასკის 11,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს 17-დან, პოლუგაევსკის — 10,5 ქულა და 2 გადადებული პარტია 17-დან, ბრონშტეინს — 10,5 ქულა და 1 გადადებული პარტია 17-დან.

ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 16 დეკემბერს.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

14 დეკემბერი

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „უცნაური ბიჭი“, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის „შენი სიმღერა“, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.40 — გადაცემა — „მთავარია ხარისხი“, 18.50 — კონცერტი, 19.10 — გადაცემა — „სამხრეთ პოლუსის აღმოჩენა“, 19.25 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — კინოქურნალი, 20.00 — ახალი ამბები, 20.15 — მხატვრული ფილმი „ბაბაიჩეკი“ (მაყურებელთა თხოვნით).

სპორტული ქრონიკა

ლოდ 1 ბურთი მიიღეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5:1.

△ **ჩილელები** დიდი ინტერესით მოელოდნენ უნგრეთის გროვნელი ნაკრების გამოსვლას. ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა პირველ მატჩს 55 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. დასაწყისში ინიციატივას უნგრელები ანარჩუნებდნენ, მაგრამ მასპინძლებმა გააუნებლეს მათი იერიშები და მალე კონტრთამაშით უპასუხეს, რასაც ორი გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში ჩილელებმა მეტოქის კარში დამატებით 3 ბურთი გაიტანეს, ხაკუთარ კარში კი მხოლოდ ერთი. საბოლოო ანგარიში 5:1 ჩილელების სასარგებლოდ დამთავრდა.

△ **ბრაზილიის** ფეხბურთის ფედერაციამ თავის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება 1964 წელს ჩატაროს დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც შემადგენლობათა სიძლიერით მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდება. ამ დიდ ასპარეზობაში მიუვიდელი არიან ესპანეთის, იტალიის, სსრ კავშირის, ენგლანდის, არგენტინის, ურუგვაის, პარაგვაის, პორტუგალიის, ინგლისის, შვეიცარიის და ავსტრიის ფეხბურთის ეროვნული ნაკრებები.

ფინიშის სიმაჯვრე

ერთ წყვილს მეორე ცვლის, გუნდს — გუნდი, სპორტის სასახლის საცეკვაო ხალიჩებზე უძლიერესთა ღუელი არ ცხრება.

გუშინდელი დილის შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და ბელორუსიის გუნდების მატჩი.

მართალია ეს ბრძოლა მაღალტექნიკურად ჩატარდა, მაგრამ ხასიათდებოდა მოულოდნელობებით. უმჩატეს წონაში პირველი გამარჯვება ბელორუსიის მოჭიდავეებმა იზეიმეს, მომდევნო წონაში კი ასეთივე სახარული ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხვდათ.

ქვემსუბექ წონაში სახელმოხვეჭილი მოჭიდავის — კარავაევის წინააღმდეგ ტაქტიკურად სწორად ააგო ბრძოლა რუნუამ და შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მართალია ქორიძემ და გვანცელაძემ თითო ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს, მაგრამ წინ კვლავ საქართველოს მოჭიდავეთა კოლექტივი იყო. მომდევნო ორ წონაში მეტოქეებმა თითო გამარჯვება მოიპოვეს, თუმცა გაუგებარი იყო, თუ რატომ მიაკუთვნეს გველესიანთან შეხვედრაში ჩუჩალოვს გამარჯვება.

ყველაფერი უნდა გადაწყვიტა მძიმე წონის მოჭიდავეთა ორთაბრძოლას. ჩვენი რესპუბლიკის გუნდისათვის შეკიბრების ფრად დამთავრება ან წაგება ქულებით სავსებით საკმარისი იყო გამარჯვებისათვის, მაგრამ ხაბეიშვილი მოულოდნელად წამოეგო ზალუცკის ფანდზე და მესამე წუთზე ბეჭებით შეეხო ხალიჩას.

მატჩი დამთავრდა, მაგრამ ყველაფერი ამით არ ამოწურულა. საქართველოს გუნდის ხელმძღვანელობამ სამართლიანად გაასაჩივრა გველესიანისა და ჩუჩალოვის ბრძოლის შედეგი. მსაჯთა კოლეგიამ იმსჯელა ამ საკითხზე და სწორად სცნო პროტესტი, გველესიანისა და ჩუჩალოვის შეხვედრა ჩაითვალა ფრედ.

ამრიგად, გაიმარჯვა საქართველოს გუნდმა, ხოლო ბელორუსიის გუნდი გავიდა გათამაშებიდან.

მეოთხე წრის მატჩში მოსკოვის გუნდი არ გამოცხადდა შეჯიბრებაზე, მას დამარცხება ჩაეთვალა უკრაინელებთან შეხვედრაში და გამოეთიშა პირველობისათვის მებრძოლთა რიგებს.

ამრიგად, 4 წრის შემდეგ დაუმარცხებლად მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის გუნდები იბრძოდნენ, ხოლო რსფსრ და ლენინგრადის გუნდებს თითო წაგება ჰქონდათ.

საერთო ყურადღებას იპყრობდა მეხუთე წრის შეჯიბრება უკრაინისა და საქართველოს გუნდებს შორის. უკანასკნელი წყვილის გამოსვლის წინ ანგარიში იყო 14:12 საქართველოს გუნდის ხასარგებლოდ, მაგრამ მძიმე წონაში კვლავ დამარცხება განიცადა ხაბეიშვილმა და ანგარიში გახდა 15:15. აქ მატჩის ბედი გადაწყვიტა წშინდა მოგების რაოდენობამ. გაიმარჯვეს უკრაინელებმა.

დღეს გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები.

ჟურნალისტი პოლონეთში

ჟირაფის ხასი საჩუქარი

საუკეთესო საჩუქარი მიიღეს მაღალმთიანი შუახევის მშრომელებმა. რაიონის ცენტრში დამთავრდა ორსართულიანი კლუბური სახლის აგება და ექსპლოატაციაში გადაეცა.

კლუბურის სახლს აქვს 400-ადგილიანი კლუბი, ასადგილიანი კინოდარბაზი, საბილიარდო, საბავშვო და მოზრდილთა ბიბლიოთეკები, სამკითხველო.

შუახევის მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს კლუბური რაიონული სახლის გახსნა.

რ. გორგაძე.

ჟე 04135

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

1